

# ଶୁଣନ୍ତେ ତୃ ତାଙ୍ଗାନ୍ତି

ପ୍ରକାଶତାରକାରୀ ମାରାତ୍ରାଳ୍

ପ୍ରକାଶତାରକାରୀ ନାମିତାରାଳ୍

ପ୍ରକାଶତାରକାରୀ ନାମିତାରାଳ୍



ჩინეთის რევოლუცია.



იაპონიის საელჩოდან ბრძოლას თვალ-ყურს აღევნებენ.

## რ ე ბ რ ი ზ ე ნ ა რ ი

ფსალმუნი ესე ეძღვნის სამსონ ფირცხალავას.

*Solebt sie auf dem nebelduftigen Eiland,  
Sie selbst seiu eigner, menschgewordner Sinn. \*)*

Konrad Falke.

რძალი ზენარი შეიმოსა მშვენიერებით....  
სულის სამყარო თვით სკეტაქმა განაბრწყინვალა,  
და გზად მოჰყინა ვარდზამბახნი ფერად-ფერადნი.  
გარემო მისა გამსჭირვალე დაჭქრის სიწმინდე!..

მრავალ ვეძიე და აწ ვპოვე სულის საუნჯე—  
ვპოვე და ალარ განვეშორო უკუნისამდე!  
ოცნება არის ხორცულების ჩემი ერისა!  
იგია ღმერთი, სამლოცველო, სარწმუნო ჩემი!..  
ამიერიდგან კურთხეულ არს ასულთა შორის.  
ამიერიდგან კურთხეულ არს რძალი ზენარი!..  
— აუარებდეთ გამოძახილს ქართლოსიანთა!

მას სხვა ვერ ჰედავს—ჰაეროვანს ცველა კი ეტრფის.  
ზოგი ცრემლს აფრქვევს ოქრომკერდის ალისფერ კალთებს,  
ზოგმა აისხა იარალი და სდგას სარანგად.  
და ვინც გაურბის—უნებურად მის აჩრდილს ჰევდება,  
შენანებული იღუმალსა ლოცვას ღალადებს:  
ამიერიდგან კურთხეულ არს რძალი ზენარი!  
აუარებდეთ მორწმუნენო, ოუნდა წარმართნო!

მე ვნახე იგი, მაღალ მთაზე როს მივდიოდი.  
დღეს ვარ მწვერვალზე და ჩემს სულთან განუყრელია!

შავთვალთა მზერა მკვეთრობს ვითა ბასრი მახვილი;  
შავთვალთა მზერა ნაზობს ვითა ვარსკვლავთ ციალი!  
თეთრ კბილთა ჩენა კრთის ვით ელვა ღრუბელთა შორის;  
თეთრ კბილთა ჩენა ემსგავსება წყობილ მარგალიტს;  
მკერდის თრ ძუძუს აკოკრებულს მზის სხივი ეტრფის;  
მკერდის თრ ძუძუს ოდნავ ჰევარავს ლეჩქ-საბური!  
შიშველ ფეხებსა არ აკარებს ნამიან ბალას;  
შიშველ ფეხებსა მისი ცვავილი ამბორსა ჰეყოფენ!  
მტრედის სიმშვიდე მიუწვდომელ სულს დასთამაშებს  
და გულის სილმეს ჰელმავს მხოლოდ სამყაროს სივრცე.  
ასეთი იყო, ასეთია და კვლავ იქმნება.

\*) ის ეგრე ჰარბოს ნისლით მოცულ უცხო კუნძულზე; იგია აზრი  
ხორცულების თვისი ერისა!..

უკუნისამდე კურთხეულ არს რძალი ზენარი!  
აუარებდეთ შინ და გარედ ერის დადება!..

ვითარცა ნაძვი ლიბანისა, ეგრე სდგას მარტო.  
ვითა ფინიკი, ტკბილი არის მისი ნაყოფი!  
ვითარცა მთვარე ოქროვანი, ეგრე ახლდების.  
ვითარცა შუქი მთიებისა, ეგრეა ნაზი.  
ვითარცა მდელო სიზრეთისა, ეგრეა შლილი.  
ვით გაზაფხულის ნორჩი ვარდი ტრფობით ჰკლავს ბულბულს,—

ეგრედ ველევი ცნობის ძალას მისი მჭვრეტელი.  
და მივეხლე მის ვარდ ბავეს, ერთ კონად შეკრულს,

რამეთუ ვიყავ გულით წრფელი და უცოდველი.  
წყალობა მისი შემწევდა მე და აღმადგენდა.  
ბუნდოვან თვალსა აღმიხელდა მსუბუქის ხელით.  
და სულის შავად დანელებულს, გულსა დაკოდილს  
მოჰყერდა სიოს სანეტაროს შორის ედემით.  
და მეც ერთგული ღალად ვყოფდი ქებათა-ქებას:  
უკუნისამდე კურთხეულ არს რძალი ზენარი!  
აუარებდეთ! სარკე არის მშობელ ქვეყნისა!..

ეგრედ ახარებს სულის ჩემისა ნუგეშის ცემით.  
ეგრედ საფარველს განდასვენებს მე, მისგან რჩეულს.  
ეგრედ მიმილო მშვენირმა ნათელის პირით!


მოწცა მე ძალი და მასმინა ხეა იღუმალი:  
„თავადო ჩემო! დღეის შემდეგ ხარ სასო ჩემდა!  
შეიბ მახვილი წელთა შენთა და მექმენ მცველად!  
ნუ სადა წარსცე ქვასა ფერხნი ავთა შელოცვით:  
ხეიდოდე ზედან ასპიტა და ვასილისკოსს,  
დასთრგუნე ლომი და ვეშაპი ცეცხლის მფრქვეველი!

აწ ნუღარ ესავ მთავართა და ქვეყნის მპყრობელთა,  
რომელთა თანა სამუდამო არ არს ცხოვრება.  
ჩემთან არს კვერთხი განგებისა და სუფევისა!“


ალვაპყარ ხელი და ღალად ვყავ კიდათ-კიდემდე:  
უკუნისამდე კურთხეულ არს რძალი ზენარი!  
აუარებდეთ საგალობლით ერის დიდებას!

მური და შტახი და კასი მსხვერპლად შევწირე  
და დავუკმივე საკვეველი სიხარულისა.  
შემოკრბა ერი ჩემთან ერთად და სუა თაყვანი.  
შემოკრბენ ყრმანი და ასულნი ივერიელნი.  
ბზისა რტოებით მოულოცეს დღესასწაული  
და რქვეს ხმა შესხმით: კურთხეულ არს რძალი ზენარი!  
აუარებდეთ გამოძახილს ქართლოსიანთა!...  
აუარებდეთ მორწმუნენო, ოუნდა წარმართნო!..

ა. შანშიაშვილი.




ჩინეთის რევოლუცია.



მთავრობის საველე არტილერია მოქმედების დროს.

ჩინეთის რევოლუცია.



რევოლუციონერები წითელის დროშით.

## „გ ა ჩ ა ღ დ ა“

(„ნაწყვეტი“).

დეკემბრის მარაგი ღამე იყო. სოფლის ბოლოს ერთ ბოსქლში თავი მოეყარათ ახალგაზდა მეძროხე-მეხრეებს და გაგიზგიზებულ შუა ცეცხლს შემოსხდომოდნენ. ბოსლის შემჭვერტლული ჭერი არა ჩვეულებრივ სიცილ-მხიარულებას გაეხმაურებინა. აქეთ-იქით მხარეს დაყრილ საქონლის ცოხნა ბანს აძლევდა ფანდურზე დალილინებულ საოხეუჯო სიმღერეებს. ჭერში, სქელ ბადეში გახვეული, დიდი ობობა სიამოვნებით სითბოს გაპყუჩებოდა. სახე დატკრეცილი მეხრეები ხან ერთ გვერდს უბრუნებდნენ ღულუნა ცეცხლს, ხან მეორეს და შობა ღამეს თანშეზრდილ გულლია უდარდელობით ეგებებოდნენ.

გარედ კი უნიავო მყუდრო ღამე იდგა. ცის კამადონზე დასცურავდა გავსებული მთვარე და ყომრალ ღრუბლებიდან ხან ერთ თვალს გამოახელდა, ხან მეორეს.

ზაქროს ის—ის იყო ჩასუქებული თირმაგი ჭყვირილ-ჭყვირილათ მსხვერპლად შეეწირა შობის დღესასწაულისათვის და ბოსელში ცეცხლის პირად ჰუფუფქავდა.

ოდნავ დაჭრიალდა ბოსლის ტლანქი, ცალფა, კაკლის გამჭვარტლული კარი და თავი შემოჰყო მაღალ-მაღალმა, პირთხელმა, ქერა ვაჟკაცმა. მგლური თვალები, კინკრიხოში ღრმად წასული, ცეცხლის შუქზე წითლად უელავდა. წამოხრილი, ხშირა წარბები, კოპებად შეკრული შუბლი, არწივისებური ცხვირი და გაბარჯლული, წინ წამოწვდილი ულვაშები მკაცრ გამომეტყველებას აძლევდა.

— აპაი, თქვენ, არამხადებო, თქვენა! — შემოსხა მჭექრად და გრძელის კომბალითა და მაზარით თავს წაადგა.

— ოჲ, გახალდა!.. გახალდა!.. ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!.. მოდი დაგვეწვიე, გახალდა! — შესხახეს აქეთ-იქიდან, თან კი ერთმანეთს ეშმაკურად გადაჭხედეს.

— მოვალ მა რა, თქვენ დაგევითხებით! — გახალდამ ბოსელს ერთი გადახედვით თვალი მოავლო და ცეცხლს მოუფიცხდა.

— ე კაი ქოსმენი წამოგიწვენიათ, ბიჭებო!..

— მაშა, ამ ბეღნიერ დღეს არ ეკადრება?! — გამოეპასუხა ზაქრო და თან ქშიტინით განაგრძობდა ფუფქვას.

— აბა რა!.. მაგი პატრონს უხაროდეს! — განაგრძო გაჩალდამ — განა არა... მოვდივარ ამ ტრიალ მინდორზე... ვნახოთ, ღორის ჭყვირილი შემომესმა, ვთქვი, ი ტიალმა მგელმა თუ უზურგულა მეთქი... მოვახლოვდი და აქედან კი იყო ხმა... ეე — ვთქვი გუნებაში ე ბიჭებსა რალაც ღორანი დასცემიათ მეთქი, — მივიდე — აღარ გამიშვებენ, არ მივიდე და — ეწყინებათ მეთქი... აი, შვილო, მოვედი და ეხლა თქვენ იცით!..

— რატომაც არაო!.. შენზე უკეთესი ვინ შეგვესწრება! — გამოეხმაურა ზაქრო, თან ხენეშით ასწია გაფუფქული ღორი და ცეცხლის ალზე მძიმედ გადაატრიალ-გადმოატრიალა.

— ჴა, პეტრე, ნუ ზოზიალობ ერთი ე თირმაგის მწვადები დროიანად დავა შიშინოთ... ცოდო არ არი ე ღმერთი ვით მოღუდლუდე ცეცხლი!..

— ე მწვადებს წინ რა უდგა, ჩემო გაჩალდა... ცხელ-ცხელი ხმიადებიც დავაცხეთ... — დაიწყო ჭოჭმანით პეტრემ.

— ი თხერი ლუკმის ჩასაგორებელელი კი არა გვაქ რა და! — დააბოლოვა წამოწითლებულმა ახალგაზდამ რომელსაც ქორი წინ წამოეყარა და თვალები ეშმაკურად უშუკუშევ-ბდა...

გაჩალდა მუხლებზე ხელებ-შემოყრილი ცეცხლს მისჩერებოდა და, ეტყობოდა, რაღაც მოსაზრებაში იყო, მოუსვენ-რად ატრიალებდა თვალებს, თანდათან წარბებიც შეუთამაშდა და უფრო წინ წამოეხარა, ულვაშები აუცმაცუნდა.

სიჩუმის ანგელოზმა. ჩამოიარა. მხოლოდ ზაქროს ქშენა ისმოდა, რომელიც ღორის გამოშიგვნას შესდგომიდა.

გაჩალდა შეიშმუშნა, თავი მაღლა ასწია.

— აბა, შვილოსან, რა გიყოთ... ლვინოსაც რომ გითხრათ, ვერსად გი მოვნით და, თუ გინდათ, არაყ კი მოგიტანთ...

— ოჲ, შენი გამჩენი-ჭირიმე, გაჩალდა!.. მართლა როგაჩალდა ხარ! — გაისმა ხმები.

— აბა ერთი, ჭურჭელი მომეცით რამე! — გაჩალდა წა-მოდგა-სანამ თქვენ მწვადებს დააფიცხებდეთ, მეც აქა ვარ..

მოაწოდეს პირმოტეხილი ლიტრა.

— აბა, ემდროული კაცი ე მაგაზე უნდა მოვცდე!.. მოიტათ რამე პატა ფარსაგი!..

— სხვა რო არა გაქვს რა, ჩემო გაჩალდა...

— მოიტა, თედო, ა ი კოკა! მარხვა ვკამო დოპოვინაო. — გაჩალდა თხუთმეტი წლის ბიჭივით შემოტრიალდა და ბოსლის კარი გაიჭრიალა...

მის მოლოდინში ბოსელი უფრო გამხიარულდა.

\*\*\*

ვინ არ იცნობდა გაჩალდას!.. ბრძენიც იყო, გადარეულიც, კეთილიც იყო, ბოროტიც, საქმიანიც იყო, უსამშურიც, დარბაისელიც იყო, შლეგიანიც, გამრჯელიც იყო, ზარმაციც... ლოთიც იყო, ფხიზელიც... ერთი სიტყვით თავის გუნების კაცი იყო და ხელიდან ყველაფერი გამოუდიოდა. სოფელში ყველას ერიდებოდა გაჩალდასი, თთქმის ეშინოდათ კიდეცრასაც იტყოდა, ასრულებდა, რასაც მოიწადინებდა, გააპე-თებდა კიდეც. ვაი იმის ბრალი, ვინც აუხირდებოდა...


სოფლის ყრილობზე თუ რამ საყოფანო საქმე იყო, ან ბეგრად გასვლა, ან სასოფლო არხის გასუფთავება, ან სხვა

ჩინეთის რევოლუცია.



დახოცილი რევოლუციონერები.

## ჩინათის ჩავოლი უცია.



ესკადრა ადმირალ სას მეთაურობით.

რამ, საკმარისი იყო გაჩაღდას ორი თავის—სიგრძე კომბალი გაეჩაღებინა, რომ მთელი სოფელი საქმეზე დაერევა. იმ უშველებელ კომბალს ისე გამეტებით მოიქნევდა, რომ დამფოხალი ხალხი სულ ცეკვა-თამაშით მიუღიოდა წინ... იმ ცეცხლის-ფერ თვალებს ისე დააბრიალებდა, რომ ურუანტელი უვლიდა ადამიანს... ბავშვებს გაჩაღდას სახელით აშინებდნენ. მენახი-რები და ლამის მეხრეები ხომ შიშით ილეოლნენ,—გაჩაღდა არსაიდან გაჩნდეს. ასეთი ფხიზელი და ერთგული მეველე სოფელს არ ახსოვდა.

ხარისარია რომ გამოაშუქებდა და ლამე-ნათევ, ზღაპრებითა და ლაზლანდარაობით მოქანცულს, ლამის მეხრეებს უზრუნველ ძილს მოჰკვრიდა, გაჩაღდაც სწორედ მაშინ მოიპარებოდა ფეხ-აკრეფით...

როგორც გამოცდილმა მონადირემ იცის, თუ რა დროს სად ბალახობს ან სად დაეყრება ნალირი, გაჩაღდამაც ისე იცოდა მეხრეების გზი და ასავალ-დასავალი. მოულოდნელად თავს წაადგებოდა ეს ახმაზი კაცი, თავის განუყრელ ჩობახით და დასჭივივლებდა:

— აპი, თქვე, გველის წიწილებო!.. სად არი თქვენ საქმელი?..

ნამძინარევი მეხრეები დაფეთებული წამოიშლებოლნენ და აქეთ-იქიდ დაიძრებოლნენ ყვირილით:

— ვამე დედავ, გაჩაღდა!.. ვამე დედავ, გაჩაღდა!—ო.

— ფეხი არ მოიცვალოთ, ოქვე ძილის გუდებო, თქვენი!.. დასხედით!.. დაიხადეთ!..

ერთად მოუყრიდა თავს, ცალ-ცალ ქალამანსა და წინდაპაჭის დაახდევინებდა, აკიდოსავით აქუნწლავდა კომბალზე და მხარზე გაიდებდა.

— წადიოთ ეხლა და თქვენ საქმელს მიჰხედეთ!.. ეგერა, აიქ, ბულაყებში გამოვრევა ჯეზოლიდან!—თან მუქარით და აყოლებდა:

— ალარ გაპბედოთ ძილი, თქვე სალახანებო თქვენა!.. ეხალხი ჭირნახულს ნუ აოხრებინებთ...

— გაჩაღდა, შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, მომე წინდაპაიჭი—შეევედრებოდა რომელიმე გამბედავი, რომელსაც კი-დევ გული შერჩენოდა.

— სუ!.. დაე, თქვენმა პატრონებმა გაიგონ თუ რა მეხრეებიცა ბძანდებით!—და გაუდებოდა გზას.

ხოლო კვირა დღეს, სასოფლოზე გამოიტანდა ამ წინდაპაიჭ-ქალამების ჯაგანს... ყველის თავს მოუყრიდა და თავთავისას დაურიგებდა...

გაჩაღდას წყალობით ბევრ ლამის მეხრეს მოჰკვედრია პატრონისაგან კაი-კაი სახრე.

ბოსლიდან რომ გამოვიდა, გაჩაღდა ერთხანს შეჩერდა. ეშაკურად გაიღიმა, თავი გაიქნ-გამოიქნია. რაღაც უცნაური რამ აზრი მოუვიდა...

— ეჭ, გულადი ბიჭია, არა უშავს-რა!—ხელის ჩაქევით გადასწყიოთა გაჩაღდამ და დოსტორივ გასწია ამოლებულ მიზნისკენ.

სოფლის თავში, ხევის პირად, განმარტოებულ ვენახში, ლექსო ბელურაშეილი ქოხის მოშორებით მისცუცქებოდა საარყე ქვაბს და ალხეინად ჭხდიდა არაყ.

გაჩაღდა ფეხაკრებით მიიპარა ლობის ძირას, მაზარა გაშალა, ზედ დაჯდა, დაისვენა. დრო-და-დრო კენჭის სროლა დაიწყო ბელურაშეილი-საკენ.

ის ჯერ პიონში არ იგდებდა. მერე კი ცოტა არ იყო შეფიქრინდა, აქეთ-იქით ცქერა დაიწყო და გასძახა:

— ვინა ხარ, კაცო!—

გაჩაღდა მიყუჩდა. ცოტა ხანს მერე ლობის ძირს ფაჩაფუჩი აუყენა, თან კენჭების სროლასაც უმატა.

ბელურაშეილი მხდალი როდი იყო... წამოდგა იმ მხარეს დაიწყო ცქერა...

ფაჩაფუჩი გრძელდებოდა. ბელურაშეილმაც იქით გასწია. ერთბაშად ლობეზე შემოხტა გაჩაღდა, მთლად დედიშობილა და ტლინკვა დაიწყო.

— ვამე, მიშველეთ!—დაიღრიალა ბელურაშეილმა, ქოხში მოადინა ბლობარანი, სანთელი გააქრო კარს ურდული გაუდო, და გაიტკრინა.

გაჩაღდა ტლინკვით გადმოხტდა ვენახში, ხტუნაობითა და პრანჭებით საარყე ქვაბისაკენ გაექნა, ჩაცუცქდა, ცეცხლზე მიიგრის-მოიგრიხა, ცეცხლი დააუნებლილა, ორივ ხელში მუგუზლები აიტაცა და ტლინკვით უვლიდა საარყე ქვაბს. ხან შეჩერდებოდა, საშინლად დაიღმანკებოდა, თვალებს გადაატრიალ-გადმოატრიალებდა და ისევ შემოურბენდა ქვაბს. მერე ხტუნაობით ქოხისაკენ გაექანა... კარებს მისუნ-მოპსუნა, ფანჯარაში შეიჭყიტა, მუგუზლებით მიტლინკ-მოტლინკდა და ისევ ქვაბს დაუტრიალდა.

ბელაურიშეილმაც დრო იხელთა ქოხის მეორე მხარეს ფანჯრიდან ისკუპა და დაძურწა სოფლისაკენ.

საწყალი ჭიგოები ჭახა-ჭუხით ერთმანეთზე წვებოდა.

გაჩაღდამ თვალი მოჰკრა, ერთხანს მუგუზლების სტრიალით დაედევნა... მერე კი მუგუზლები გადაყარა, მიაშურა თავის ტანისამოსს... მოუთავებელა არყის გვაბთან მდგარ სავსე გოზაურს და თავის კოკაში ძირა დააძახა.


გამალებული მიდის გაჩაღდა და თან სიცილით კვდება. ბოსელში მწვადები წითლად დაებრაწად, როდესაც გაჩაღდამ კარი შეაჭრიალა.

მხიარული შობა გათენდა მეხრეების ბოსელში.

ბელურაშეილმა მეორე დღეს ცარიელი გოზაური ნახა. სირცეილით ვერსა ამხელდად ამ თავგადასავალს, მაგრამ, თუ სიტყა მოიტანდა, ყველას ბეჯითად არწმუნებდა:

— ეშმაკები როგორ არ არიან, კაცო! იმ წყეულებს არაყი ძალიანა ჭყარებით!

ნარკან.



## ჩინათის ჩავოლი უცია.



ჩინათის ჩავოლი უცია.